



ერთველი  
ბიზნისოთიკა

# ერთველი

## რედაქცია

ერთველი მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი, დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია არ ინახავს. ინახება მხოლოდ დიდი მოთხოვნები.  
რედაქცია ღიაა: დილის 9-2 საათამდე და საღამოს 5-7 საათამდე.  
მისამართი: ქუთაისი, თფილისის ქ., ფიჩხაძის სახლი.

## კანტორა

გაზეთის ფასი: ერთი თვით 50 მან. 3 თვით 130 მ. განცხადების ფასი: სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 2 მ. უკანასკნელზე 1 მ. 50 კ. ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორად. სამგლოვიარო განცხადება: საშუალო ზომისა თითოჯერ არა უმეტეს სამი გამოცხადებისა 50 მ., 12 საათის შემდეგ 60 მ. კანტორა ღიაა: დილის 8-2 საათამდე და საღამოს 5-7 საათამდე.  
ფოსტის ადრესი: ქუთაისი ფოსტის ყუთი № 80.

რმა მწუხარებაში მყოფნი: დედა ანა სტეფანეს ასული ოცხე-ლისა დები: სოფიო ივანეს ასული პოლოლიკაშვილისა და ნინო ივანეს ასული სააკაშვილისა, ძმები: სიმონ დავით და კონსტანტინე ივანეს ძენი ოცხელნი, რძალი ლუკრაცია ან-ტონის ასული ოცხელისა და სიმე პეტრე ზაქარიას ძე სააკა-შვილი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა, რომ შაბათს, 27 სექტემბერს, დილის 9 საათზე ქუთაისის კათალიკეთა ეკლე-სიაში გადახდილი იქნება ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი მათი დაუფიწყარი

## იოსებ ივანეს ძე ოცხელის

სულის მოსახსენებლად. 1-2

ვევით იყიდება ხელსაყრელ სახათ საუკეთესო ფაბრიკის  
**იანოშვილი**  
მისამართი: არქიელის მთა, ნადარე-შვილის სახლი. 2-3.

**შალვა მოგვალი.**  
აღვლეთ საქართველოში სიმინ-თავალი ნახევარი წლის სარ-გო მოგვცემს, ქართლში პუ-თავალი საშუალოზე ნაკლები ცხენში კი იმდენი, რამდენიც ცხენისთვის თუ იკმარებს.  
დროს ჩალა ქარმა წაახდინა მის მოსავალიც ნაკლებია. სადამე შიმშილობა და მუშა-ლის გაწყვეტა მოგველის.  
ქარა თუ არა მთავრობამ დრო-დრივი უცხოეთიდან პურის ანისთვის?  
დარიგობას მოწმობს უკვე ის, რთი ცენტრალური სასურსა-საწესებულებაც კი ვერ მოუწ-ივიანად და ერთს ორგანიზა-ცხელებს მეორე, თუმცა ხეობებზე წინამოადგილებივე და, ვგონებ. სამ სამი თვის დიდაციოც ეძლევათ.  
საქნელი სასურსათო ორგანი-გრეთ წოდებული „მომა-კომიტეტი“ — მოულოდნე-ბამალა: მინისტრმა ხომერიკმა მხანაგმა და სხვა წევრებმა თა

ვი დაანებეს. არ ვიცი, ვინ-ლა განა-გებს საქმეს!  
ამბობენ, „მომარაგების კომიტე-ტი“ „სატრანსპორტო კომიტეტის“ სახელით უნდათ მონათლონო. მა-გრამ სახელის გამოცვლა განა საქმეს უშველის?  
რესპუბლიკის საზღვართა შორის სურსათით ვაჭრობის თავისუფლება აკრძალეს. არა თუ კერძო ვაჭარს, არამედ ქალაქსაც კი ნება არ აქვს შეიძინოს სიმინდი ან პური, სადაც უნდა, და შემოიტანოს. თვითეულ მაზრას აღკრძალვის ზღუდე აქვს შე-მოვლებული.  
მაშასადამე საქართველო იმდენ დამოუკიდებელ ეკონომიურ ერთე-ულად არის დანაწილებული, რამ-დენ მაზრასაც შეიცავს!  
მაგრამ ეს ხომ დრო გარდასული, საშუალო საუკუნისებური წესია!  
ამ წესმა კი აი რა ქმნა: სიმინდი, თბილისში და ქუთაისში რომ ველარ მოიტანეს, საზღვარგარეთ გაიპარა!  
ცენტრალურმა სასურსათო კომი-ტეტმა კი, როგორც ბიუროკრატიუ-ლმა დაწესებულებამ, ვერაფერი გაარიგა.  
გაცვლა-გამოცვლის საქმის მოწ-ყობა თუ უნდადათ, მთელი ვაჭარ-მრეწველთა და მეურნეთა კლასები უნდა ჩაებათ საქმეში!  
ამის მაგიერად ბიუროკრატიული ორგანიზაცია შექმნეს, რომელიც,

რასაკვირველია, ვერ გაუძღვებოდა მისთვის მიუწოდებელ საქმეს.  
ამიტომ ჯერ თითქმის არაფერი გაკეთებულა და, ვფიქრობ, არცარა-ფერი გაკეთდება.  
მაშასადამე რკინის გზის მტვირთ-ველმა მუშებმა ზედმეტი უფლება მიითვისეს! და ქალაქები მოვალე არიან თავისი ინტერესები დაიცვან.  
„შავი ქვა“, ეს ერთად ერთი სა-ვალუტო საგანი, საზღვარგარეთ ვერ გაგვიტანია, რომ მაგიერი შე-მოვიტანოთ რამე.  
შემოტანილი საქონელი ფოთის ნავსადგურში ვერ გადმოგვიცლია!  
ამ პირობებში, მიკვირს, როგორ შეიძინა დღემდის თავისი არსობა საქართველოში?  
ჩვენ გვაქვს მდიდარი ტყეები და შეშაში, რამდენიც გვინდოდა, იმ-დენს მივიღებდით პურს ამერბეიჯა-ნიდანაც და შავი ზღვის ჩრდილოე-თის ნავსადგურიდანაც.  
მაგრამ ამისთვის შეშის მიწოდებაა საჭირო. ამის უნარი კი ჩვენს რეს-პუბლიკას არ აქვს.  
აი სად არის ეკონომიური კრიზი-სის სათავე.  
ქუთაისის თვითმართველობის 25 სექტემბრის სხდომაზე გამგეობასთან არსებული სასურსათო განყოფილება კვლავ დავსტოვეთ.  
მაგრამ განყოფილება ვერაფერს ვერ იქმს, თუ რკინის გზით საქონ-ლის გადატან-გადმოტანის საქმე ვერ მოეწყო და რესპუბლიკის საზღვრე-ბში ვაჭრობის თავისუფლება არ გა-მოცხადდა.  
მაშ გამგეობა მოვალეა იზრუნოს ამისათვის.  
რაც შეეხება საქონლის საკვებს, შეიძლებოდა ერობებს. ჩალის დასა-წიწკნი მანქანა შეეძინათ (ამგვარი მანქანები აქვს ფეიქაროვს). ამგვარი მანქანებით დაწიწკნილი ჩალა იმ-დენ ბარაქას იქმნა, რომ თავის მოკლებას ერთითად აანაზღაურებ-და.  
ეჰ! სიმდიდრე გვაქვს, მაგრამ ვერ ვხმარობთ!  
**ვასილ წერეთელი.**

**მთა იზრახვის.**  
რუსეთის რევოლიუციის დიდი დეა-წლი მიუძღვის რუსეთის ყოფილ ტე-რაუტორიაზე არსებულ ერთა განთა-ვისუფლების საკითხში, რომ რევო-ლიუცია არა ის პატარა სახელმწი-ფოები, რომელთაც ხელი მიჰყვეს საკუთარ სახელმწიფოებრივ ცხოვრე-ბას და შექმნეს დამოუკიდებელი რე-სპუბლიკები, ისე „დიდი რუსეთის“ რესპუბლიკებთან დარჩებოდნ და ძვე-ლებური მონობის უღელის ქვეშ იქ-ნებოდნ.  
უმთავრეს საფუძვლად რუსეთის ნანგრევებზე აღმოცენებულ ერთა განთავისუფლებას ოქტომბრის გადა-ტრიალება დაედვა.  
ეს არ უნდოდა რუსეთის არც მე-მარცხენე და არც მემარჯვენე წრე-ების მართველებს, მაგრამ ეს მოხდა თავისთავად, რაც გამოიწვია თვით წრეების თუ ჯგუფების შებრძოლე-ბამ და სამოქალაქო ომმა.  
დღეს როგორც წითელი, ისე შა-ვი რუსეთიც კბილებს იღესავს ახ-ლად აღორძინებულ ერთა არსებო-ბის წინააღმდეგ.  
ტროცკის წითელი გვარდიელები და დენიკინ-კოლჩაკის „მოხალისე-ები“ ერთნაირი მტრობით იტყირე-ბიან ანიერ კავკასიის ერთა დამოუკი-დებელი არსებობის აღმოსაფხვრელად, მაგრამ დროს ერთმანეთის სისხლის ღვრას ანდომებენ.  
„მოხალისეებმა“ მთიულეთში უკ-ვე დაამტკიცეს თუ როგორ უცქე-რენ ისინი ერთა თავისუფლებას.  
მთიულეთი შეილია თავისუფლე-ბის. მთიელების ბუნება მონობას ვერ ეგუება და ისინი შეუდგენ საკუთარ ცხოვრებას, საკუთარ სახელმწიფოს მოწყობას, მაგრამ შავი რუსეთი ამ თავისუფალ ხალხს მოულოდნელად თავს დაესხა და წაართვა ის, რაც ყველაფერზე უძვირფასესია ერთა არ-სებობისათვის.  
მაგრამ მთის არწივებმა ხელი გუ-ლზე არ დაიკრიბა. მთა ფეხზე დადგა, გმირი შამილის მემკვიდრეები ბრძო-

# დღის სურათი

მთიელებმა მამაცურად აიღეს პეტროვსკა და გროზნა. ყაზახებში პანიკა ჩამოვარდა.

მოხალისეები კავკასს ევაკუციას უშობიან.

ქალაქი ტომსკი ბოლშევიკებმა დაიკავეს.

ქ. ნოვგოროდ-ვოლინსკი ბოლშევიკებმა აიღეს.

გერმანიის რკინის ჩამომსხმელ ქარხნებში გაფიცვები გრძელდება

უკრაინის საბჭოთა რესპუბლიკის თავდაცვის საბჭომ პეტლიურას ჯარს მიმართა მოწოდებით, შეუერთდნენ კომუნისტებს მოხალისეებთან ბრძოლაში.

ადერბეიჯანის პარლამენტმა ნ. უსუბეკოვს კაბინეტის შედგენა მიანდო.

ლად გაიჭრენ და „მოხალისეებს“ ხმლით მოსთხოვეს სამშობლოს გაშენდა.

უმნიშვნელო ძალოს წარმოადგენენ მთიელები „მოხალისეებთან“ შედარებით, მაგრამ გმირობა რაოდენობას ყოველთვის ძღვეს.

და მთამ კიდევ დაამტკიცა თავისი გმირობა.

უკანასკნელი ცნობების მიხედვით: დიშლაგარში და კასუმკენდში დაღესტნელებმა ამოხოცეს 1000 ყაზახი, წართვეს 13 ზარბაზანი, დიდძალი თოფი, იარაღი და 27 ტყვიის მფრქვეველი, კასუმკენდში მოჰკლეს 10მ ყაზახი და წამოიყვანეს ბევრა ტყვე. საჩინეთიც ფეხზე დადგი და ორგანიზაციულად მუშაობენ.

მთიელების გმირული ბრძოლით მოხალისეები და მათი მბრძანებელი დენიკინი უნდა დარწმუნდნენ, რომ პატარა ერებსაც შეუძლიათ ბრძოლა არსებობისათვის, რომ თავის თავის სუფლებას არავის დაუთმოებენ. სანამ უკანასკნელ გეომრამდის არ გაწყდებიან.

ახლად აღორძინებულ სახელმწიფოებს არსებობა სურთ და ვინც მათი არსებობის წინააღმდეგ წავა, ფეხს წაიტეხს.

ნელი.

## უკანასკნელი ნოვაჰი

დაღესტანში.

დიშლაგარში და კასუმკენდში აჯანყებულმა დაღესტნელებმა ამოხოცეს 1000 ყაზახი, წართვეს 13 ზარბაზანი, დიდძალი თოფი, იარაღი და 27 ტყვიისმფრქვეველი კასუმკენდში მოჰკლეს 105 ყაზახი, ოლქის უფროსი შახშიბეგოვი, ორი პოლკოვნიკი ალაღარა და სულთანოვი, ტყვედ წამოიყვანეს 60 კაცი. ხელთ იგდეს 8 ტყვიისმფრქვეველი, 200 თოფი და დიდი ძალი ტყვია წამალი. დაღესტნელები ორ ნაწილად გაიყვნენ. ერთი რაზმი თემირხან შურისაკენ წავიდა, მეორე კი დერბენტისაკენ. 21 სექტემბერს დერბენტი (დაოუბანდი) უკვე აღებულ იქნა. მოხალისეების რაზმები გეგებზე მოთავსდნენ და იქიდან უშენენ ყუმბარებს ქალაქს. მთელთა მდგომარეობა კარგია. მათი რაზმები წინ მიიწვიენ პეტროვსკისაკენ, ნაწილი მოხალისეთა გარნიზონ-

ისა მთიელებს მიემხრო. მოხალისეებმა პეტროვსკში ადგილობრივ მცხოვრებთა მობილიზაცია გამოაცხადეს, გაჰყავთ 48 წლამდე.

### აჯანყება საჩინეთში.

საჩინეთში კვლავ იფეთქა აჯანყებამ, რომელიც უფრო ორგანიზაციულად არის მოწყობილი.

### ბრძოლა გროზნასთან.

17 სექტემბერს ცხარე ბრძოლა სწარმოებდა გროზნასთან: დაღესტნელთა რაზმები მიუახლოვდნენ ქალაქს 12 ვერსის მანძილზე. მათ წინ შეჩერება ყუბანის ყაზახთა დივიზია ცხარე ბრძოლის შემდეგ დაღესტნელები იძულებული იყვნენ დაეხიათ.

### მოხალისეთა მოწოდება

დაღესტანში გავრცელდა მოხალისეთა მოწოდება. ისინი მოუწოდებენ აჯანყებულებს ხელი აიღონ ბრძოლაზე. ჰპირდებიან, რომ ყაზახებს და მთიელებს შორის მიწებს თანაბრად გაჰყოფენ.

## ფრანგული პრესა.

(საქ. დებ. სააგენტო)

ვერსალში გერმანიის დელეგატმა კონფერენციას განუცხადეს, რომ მან რწმუნება მიიღო ხელი მოაწეროს იმ ხელშეკრულებას, რომელიც გერმანიას კონსტიტუციის 61 მუხლის § 2 აუქმებს.

ორშაბათს მეფე ალბერტი ელისაბედის და პრინც ლეოპოლდის თანხმობით რომელიც ამერიკაში მიემგზავრება ოსტენდედან გემი „ჯორჯ ვაშინგტონ“-ზე წავიდა. ეხლა ბელგიის ომაშდის ყოფილ გეოგრაფიულ საზღვრები აღდგენილია. ხუთი წლის წინად ამავე დღეს ყუმბარების სროლის დროს ბელგიის მეფე მალინთან ახლო ბრძოლის ველზე წვიმაში იღვა და თვალყურს ადევნებდა გერმანელებს, რომლებიც მისი სამეფოს უკანასკნელ ნაპერ მიწისთვის იბრძოდნენ.

### ახალი კაბინეტი ადერბეიჯანში.

19 სექტემბერს მოხდა თათბირი პარლამენტის ყველა ფრაქციების წარმომადგენლებისა. მუსავატელებმა წარადგინეს ახალი პლატფორმა, რომელიც თითქმის არაფრით განს-

ხვადება იმ დეკლარაციისაგან, რომელიც წაკითხულ იქნა უსუბეკოვის მიერ 5 თვის წინად. ახალი პლატფორმა მიღებულ იქნა ყველას მიერ, გარდა სოციალისტებისა. უთანხმოება სოციალისტებსა და სხვა პარტ. შორის მოხდა მრავალ მნიშვნელოვან საკითხებში. სოციალისტები სხვათა შორის, მოითხოვდნენ აგრარულ კითხვის დაუყოვნებლივ გადაწყვეტას. ამჟამად მოლაპარაკება სწარმოებს ფრაქციათა შორის, რომელშიაც მონაწილეობას არ იღებენ სოციალისტები. ახალი მთავრობის თავმჯდომარედ ასახელებენ ისევ უსუბეკოვს. შინაგან საქმეთა მინისტრად ასახელებენ ხ. სულთანოვს.

ადერბეიჯანის პარლამენტის თავმჯდომარემ წერილი გაუგზავნა უსუბეკოვს, რომელსაც სთხოვეს შეადგინოს ახალი კაბინეტი.

## ახალი ამბავი

ქუთაისი.

სეტყვა და კოკისპირული წვიმა. 24 სექტემბერს, საღამოს 10 საათზე ქუთაისში დიდი წვიმა და სეტყვა მოვიდა. სეტყვამ ელექტრონის მავთულები გააფუჭა. ქუჩებში დიდი ნიაღვრები დადგა.

ეკლესიის დაზიანება. 24 სექტემბერს, ღამით დიდი სეტყვის დროს საფინხის ეკლესიის გუმბათს მგები დაეცა და დაზიანა.

ოზურგეთ-ნატანების რკინის გზის გამოკვლევა უკვე დასრულდა. რკინის გზის გაყვანის საქმეს ამ წელშივე შეუდგებიან.

ქალაქის სასურსათო განყოფილების საქმე. ქუთაისის ქალაქის განყოფილების საქმის გარჩევა ქალაქის საბჭომ 24 სექტემბერს დაასრულა. დაწვრილებით ცნობებს ჩვენ გაზეთის ხვალინდელ ნომერში მოვითავსებთ.

ქუთ. ციხის უფროსის გადაყენება. შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით გადაყენებულ იქნა ქუთ. საგ. ციხის უფროსი პ. ბაქრაძე, მის ნაცვლად დაინიშნა ნ. ასათიანი.

ხორცი. ბაზრის ზედამხედველი ი. კუბრაშვილი აცხადებს, რომ პასუხისმგებლობა იქნებიან მიცემული, როგორც მეყასპეები, ისე მყიდველები თუ ხორცს ნიხრს ზევით გაყიდვიან ან იყიდვიან. აგრეთვე სთხოვეს მყიდველებს ხორცის ყიდვის დროს მიმართონ მას, რომ ხორცი დადებული ნიხრს ზევით არ იყიდონ.

ბარათოვის ავადმყოფობა. როგორც თბილისიდან იტყობინებიან გენერალ ბარათოვის ავადმყოფობა უმჯობესდება. მან დენიკინიდან მიიღო დებემა, რომლითაც თავის გულისტკივილს გამოსთქვამს და უსურვებს კარგად ყოფნას.

ხონის დელეგაციის დაპატი-

მრებისათვის. როგორც მკობლებს მრებისათვის მთავრობამ სტრატეგიული წესით სამი დღით აპატონირა ხონის დელეგაცია. გამო ხონის საზოგადოება აღმთებულია. თხოულობენ მთავრობის დადგენილები კრების ერთ წევრის ჩასვლას საქმის გამოკვეთად.

ქ-ნი მარიამ ყაუხჩაშვილი ქალი აცხადებს, რომ მის გინაშე მინიჭებული აქვს სრული უფლები რომლის ძალით ხსენებული წავლებლი გათანასწორობული მთავრობის გინაზიასთან

კაპელა. ამიერ კავკასიის ოპერატივთა კავშირის და საქარლოს სამუსიკო საზოგადოების ლამ დასავლეთ საქართველო შემოიარა დადგმულ იქნა სულკონცერტი.

ნაფიც მსაჯულთა არჩევნისთვის. ქუთ. ქალაქის გაგეობამ მასრო ერობის გაგეობამ შინაგანგმეთა სამინისტროდან შემდეგინარსის დებემა მიიღო: სექტემბროს რესპუბლიკის მთავრობამ დგინა მიენდოს შინაგან საქმეთა მინისტროს წინადადება მიეცეს მათა და ქალაქის თვითმართველო ორი კვირის განმავლობაში წარგინონ ნაფიც მსაჯულთა სიები. ლა ის ერობა და ქალაქის თვითმთველობანი, რომელნიც არ შეასლებენ ამ განკარგულებას, პასუგებაში მიიციმიან. გაუწყებთ რაგთხოვეთ რუსტ. მინისტრის დავაბით შესაფერი მიწერმოწერა გამთონ სათანადო ერობებთან დალაქებთან და დანიშნულ დროსტომბრის ოთხს სიების მიუღებლამცნოთ სამინისტროს დებეშით მართალში მისაცემად იმ ერობდა ქალაქების გაგეობათა, რომნიც არ წარმოადგენენ უკანასკნისიებს.


რედაქციამ მიიღო პირველი ნომერი გაზეთ „ოზნოვლენიე“ ნაცვლად მთავრობის განკარგულებით დახურულ „ოზოროვლენიე“ ახალ გაზეთის რედაქტორად მოწულია რაფიელ ივანიკი (რ. გილო).

### ქ. ზესტაფონი.

დღეს 26 ენკენისთვის ქ. ტაფონის საკრებულო დარბაზამდამფუძნებელი კრების წევრი ნიკოლაძე და აღ ასათიანი წაითხავენ საჯარო ლექციებს.

27 ენკენისთვის ქ. ზესტაფონში მარო მდიენის ბენეფისია, მვეული არიან ქუთაისიდან აღ დაშვილი, გომელაური და შ. ხოლი.

წვრილი ერთეულების არჩევი შორაპნის მასრაში დანიშნული ოქტომბრისათვის, არჩევნებში გადის მხოლოდ სამი პარტია: სოციალდემოკრატები, ეროვნულ-დემოკრატები და სოფ. ფედერალისტები.



# სტამბოლის პრესა და კავ-სანი.

სტამბოლის ოსმალური გაზეთი თურქულენიანს "ში დაბეჭდილია მთავარი წერილი "კავკასიის" სა-თაურით, სადაც სხვათა შორის შემ-დეგი სწერია; „საუბედუროდ, ჩვენ კავკასიის საკითხს ნაკლებ ყურად-ღობას ვაქცევთ, მაშინ როდესაც ამ საკითხს ოსმალეთისთვის სასიცოცხ-ლო ინტერესი აქვს. ჩვენი მომა-ვლი დამოკიდებულია კავკასიის სა-კითხის გადაჭრის ფორმასთან. მიუ-ხედავად ამისა უფრო მეტის ინტე-რესით ვვპყრობით ლიტვის ან და ესტონიის თაობაზე ცნობებს, ვიდრე კავკასიის საქმეებს. ჩვენ არც კი ვაქვს ნამდვილი ცნობები სომხეთზე და ერთმანეთში ვრევთ ამ ცნობებსა საზოგადოდ სომხებზე ცნობებს. კავკასიის საკითხი—ანატოლიის მიწათმფლობელთა უმრავლესობას წარმო-ადგენენ თურქები ან მუსულმანები. გითხრობენ, რომ სომხების ან არსე-ბის უმრავლესობის თურქები, ჩვენები და ლეკები დამოუკიდებლობის მიღ-ების საქმეში ხელიხელ ჩაკიდულნი უნდა იყვნენ და მათი ღრმა სიმპატი-ა უნდა იქონიან აშკარაა. ისინი სტამბოლს წარმოადგენენ არა როგორც ოსმალეთის სატახტო ქალაქს, არამედ როგორც ოსმალეთს უმაღლეს ცენტრს.“ (ნ.ბ.)

## მთავრობის მოსალოცო.

22 სექტემბერს მოსკოვში აღმო-ჩენეს დენიკანელებისა და ანტანტის წინააღმდეგეთა შეთქმულობა, რომელნიც დაილოზდნენ მოსკოვის აჯანყებას და ოსმალეთის კარის გაღებას მათ მო-ხდადეს თავისი მთავრობა, რომელ-საც თავს წამოაყალიბეს დენიკანე-ების მიერ მოსკოვის დაპყრობისას. მათ უმთავრესი ჯაშუშები დაქე-დნენ და დახვრეტდნენ.

ლოზუნგი—ყოველი ვინც შეეხება მათა და გლეხთა რესპუბლიკას, მისი შესანიშნავი იქნება უმოწყალოდ, და დალატობდა საბჭოთა რუსეთს იმედოვნებდა მუშებისა და გლე-ხის გაწყვეტას.

17 მოლაღობაში დახვრეტდნენ თვალად კადეტები, სახელმწიფოს დათბიროს ყოფილი წევრები; შეზ-არდა და ჩერნოსვიტოვი; მეორედ დახვრეტდნენ ვოროკოვი და ასტრო-ვი; მესამედ პედაგოგები ალფეროვი მეოთხედ ანდრონიკაშვილი, მესამედილი თავადი, პირადი მეგობარი ილიან ნიკოლოზისა და გრიგოლ სურგუნიის, ყოფილი გერმანიის იმერის ობოლენსკი ყოფილი თავა-დობის მტრომბერგი, ყოფილი ბარონი, მტრები ძმები ვილგელმ და კალი-სტინინგერები, მეხუთედ ყო-ფილი გენერალი კუზნეცოვი და მა-სკოვი, მეექვსედ კრაშენკოვი, დაქე-დნენ მილიონ ფულით; ამათში გა-სული მენშევიკი როზანოვი და სხვა მთავრები მოყიდული ჯგუფი.

„ობნ.“

# მან. ჰარბორდის გამოძიება სტამბოლში.

სტამბოლის გაზეთების სიტყვით, ინგლისის მთავრობას წინადადება მიუცია ამერიკის მთავრობისთვის, რომ 200,000 ჯარით დაიკავოს სომხეთი, მაგრამ ეს საქმე დამოკი-დებული იქნება გენ. ჰარბორდის მოხსენებისგან. გენ. ჰარბორდი დაინ-ტერესებულია სტამბოლში, თუ სომ-ხეთის სხვა და სხვა ქალაქებში რა-ნაირი ჰავაა, თუ რა ნაირი სნეუ-ლებაა გავრცელებული. ამაზე დაწე-რილებით განმარტება მიუცია სო-მხებ ექიმთა ორგანოს. ჰარბორდი დაინტერესებულია კიდევ იმ საკით-ხით, თუ რა განსხვავებაა სომხეთა და მაჰმადიანების სარწმუნოების შორის, რა ნაირი კანონებია საჭი-რო მათი სარწმუნოების დასაცავათ. ამაზე სომხებ იურისტებს დაუმხადე-ბათ ვრცელი განმარტება და მიურ-თმევიათ გენერლისთვის და პირადა-თაც ხანგრძლივი საუბრით გაუცუ-ნიათ ხალხის ფსიხოლოგია და სხვა. ჰარბორდი დაპირდა, რომ მათი გან-მარტებანი ნებდველობაში იქნება მიღებული. პატრიარქი ზავენმა კა-თოლიკების პატრიარქის მოადგილე აპელიანმა, პროტესტანტების მთავარ-მა პელქანმა, სომხეთის რესპუბლი-კის წარმომადგენელმა თახთაქიანმა და პოლიტიკური კრების თავმჯდო-მარემ დოქტორ დავითიანმა ინახუ-ლეს გენ. ჰარბორდი და ხანგრძლივ ესაუბრნენ სხვა და სხვა საკითხებზე. ლაპარაკი განსაკუთრებით ტრიალზე და ლტოლვილების სამშობლოში დაბრუნების საკითხის გარშემო. გენერალმა მოუსურვა გაიგოს განსა-კუთრებით ის, თუ სტამბოლის სო-მხები მოინდომენ სომხეთში წას-ვლას თუ არა? მიუცა პასუხი, რომ კოლონიების სომხეთა უმრავლესო-ბა მზათ არის სომხეთში დაბრუნ-დეს, როცა მათი ქამი დაჰკრავს („ნ.ა.შ.“).

## ქართული მფარველი ალა-ვერდის დღეობაზე.

ალავერდის (კახეთში) სახელგან-თქმულ დღეობაზე, 27 ენკენისთვის, დაესწრობა მწერალთა კავშირის სა-ბჭო თავისი შემადგენლობით. სხვათა-შორის მწერალთა კავშირის საბჭოს თავმჯდომარე კონსტანტინე მაყაშვი-ლი, დღუტუ მეგრელი, შიო მღვიმე-ლი პაოლო იაშვილი, ტიციან ტა-ბიძე, ლელი ჯაფარიძე, კონსტანტი-ნე გამსახურდია, გიორგი ლეონიძე; ნიკოლოზ მიწიშვილი, დავით კაპა-ლი და სხ. მწერლები და პოეტები მონაწილეობას მიიღებენ, როგორც ლამის თვეში, ისე დღეობაში.

მათი მიზანია დაათვალიერონ კა-ხეთი და კერძოდ ნახონ ქართულ დღეობის რიტუალი. დღეობის შემდეგ ისინი დაბრუნ-დებიან ქ. თელავს, სადაც ვაჰპარათ-ვენ დიდ სალიტერატურო საღამოს.

მწერალთა კავშირის ასეთივე ექსკურ-სიის მოწყობა განუზრახავს მცხეთა-ში, სვეტიცხოვლის დღეობაზე, 14 დღეობისთვის.

## უცხოეთი

### ალბერტ ტომას პროექტი საფ-რანგეთის რკინის გზების ნაციო-ნალიზაციის შესახებ.

28 აგვისტოს, გზათა მინისტრმა მ. კლაგემ წარუდგინა საამშენებლო კომისიის პროექტი ალბერტ ტომასი, რომელიც შეეხებოდა საფრანგეთის რკინის გზების ნაციონალიზაციას. მინისტრმა განაცხადა, რომ მთავ-რობამ ამ ქმედ შეუძლებლად მი-ჩნია მიიღოს ტომას პროექტი, თავის მხრივ მინისტრმა გააცნო პროექტი რკინის გზების შეერთების—რომელიც უნდა განაგოს კომიტეტმა—რომლის შემადგენლობაც ასეთი იქნება: წარ-მომადგენლების კამპანიისა, პერსო-ნალისა, სახელმწიფოსი და რკინის გზის კლიენტების.

### ბერლინის საბჭოს აღმასრულებ-ლი კომიტეტი.

გაზ. „პატურ აბენდლატი“ იუ-წყება, რომ ნამდვილ წყაროებიდან ვიცით, რომ განზრახული საპროტე-სტო გაფიცვა ბერლინის მუშათა სა-ბჭოების აღმასრულებელ კომიტეტს დათხოვნის შესახებ, გადადებული იქნა. განზრახულია გადართილება მოახდინონ 9 ნოემბერს, რევოლუ-ციის წლის თავზე. მთავრობას გადა-წყვეტილი აქვს მიიღოს სასტიკი ზო-მები შეაშინებოთ წინააღმდეგ.

დამოუკიდებლების და კომუნის-ტების კონფერენციამ მიიღო რეზო-ლიუცია, რომლითაც უცხადებს ომს მთავრობას და ემუქრება ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრების შეჩერებით. კომუნისტებმა გამოუშვეს მოწოდება მუშებისადმი, სადაც მოითხოვენ, რომ მუშებმა არ მიიღონ მონაწი-ლეობა იმ მუშაობაში, რომლითაც სურთ დანგრეული საფრანგეთის პროვინციები აღადგინონ. აგრეთვე მუშებს მოუწოდებენ არ შეასრულონ საზავო ხელშეკრულება.

### ლატიშთა დელეგაციის ნოტა.

ლატიშთა დელეგაციამ მიმართა ნოტიო უმაღლეს მთავრობას, სადაც აღნიშნულია მდგომარეობა ლიტვის იმ ნაწილისა, რომელიც გერმანე-ლების ხელშია. დელეგაცია მოით-ხოვს მიღებულ იქნას ყოველივე ზომები, რომ გერმანელებმა დაუ-ყონებლივ დასტოვონ მათი ტერი-ტორია.

გერმანულ რუსული კავშირი. გერმანული პრესა ბერლინურ „Bor-sen geitung“-ის მეთაურობით ენე-

რგიულ კამპანიას აწარმოებს გერმა-ნულ-რუსულ კავშირის სასარგებ-ლოდ.

კოლჩაკის მიერ ბერლინში გაე-ზავნილ დელეგაციას, რომელიც დაეაღიებული აქვს რუს ოციკრების მობილიზაცია მეგობრულად ხედე-ბიან.

### გერმანელი ტყვეები.

უმაღლეს საბჭოს დადგენილების განსა-ხორციელებლად გაიცა ბრძანება ინ-გლისსა და საფრანგეთში მყოფ გე-რმანელ ტყვეების სამშობლოში და-საბრუნებლად. პირველი წყება კი სექტემბრის 15 გაიგზავნოს.

## წერილები და ქალაქ-დნ.

(საკუთარ კორესპონდენტისაგან). ყველასათვის ცხადია, რომ თბი-ლისი საქართველოს გულია. თბი-ლისში იყრის თავს მთელი ჩვენი გონებრივი და ქონებრივი შესაძლე-ბლობა. თბილისით დაიწყა საქარ-თველოს დამოუკიდებლობა და თბი-ლისითვე გათავდება ალბათ იგი.

თბილისი საქართველოს სატახტო ქალაქია, ჩვენი მთავრობის რეზიდენ-ცია და ამიტომაც მისი მნიშვნელო-ბა ჩვენს ცხოვრებაში განუსაზღვრე-ლია.

სატახტო ქალაქს კი ის უპირატე-სობა აქვს ერის ცხოვრებაში, რომ ის არის ცხოვრების ტონის მიმცემი, ერის სულიერი და გონებრივი ძალ-თა სალარო, ერის შემოქმედებითი ნიჭის უაღრესი გამომხატველი.

მთავრობის მუშაობა და შემოქმე-დება უპირველესად სატახტო ქალაქს უნდა ემჩნეოდეს, საიდანაც იგი შე-მდეგ სახელმწიფოს პროვინციებს უნდა აშუქებდეს და ათბობდეს.

მე მგონია ვერც ერთ ქართველ პატრიოტს ვერ დაჰკამყოფილებს დღევანდელი თბილისის მდგომარეო-ბა, რადგან მას ქართული ცხოვრ-ების ან არავითარი ნიშანწყალი არ ეტყობა, ან თუ ეტყობა ძალიან სუ-სტი.

დღევანდელი თბილისი ნაკლებ განიცდის ქართული ცხოვრების მა-ჯის ცემას, ის ისევ ძველებურ რუ-სულ სომხურ აშშორებულ ქაობში იხრჩვება. მიუხედავად იმისა, რომ თბილისშია ჩვენი მთავრობაც, ჩვენი საკანონმდებლო ორგანოც, მთელი ჩვენი სახელმწიფო დაწესებულებებიც, იგი მაინც მორცხვად სდგას განზე და გგონია არავითარი მონაწილეობას არ ღებულობს ჩვენს ცხოვრებაში.

ოფიციალურ ენათ ჯერ კიდევ რუსულაა ცნობილი, (და ვფიქრობ კიდევ დიდხანს დარჩება იგი). სა-ხელმწიფო დაწესებულებებშიც რუ-სული ენა სჭარბობს; ყოველ სახელ-მწიფო მოხელეს აუცილებელ საჭი-როებათ მიაჩნია უსათუოდ რუსულ ენაზე მოგმართოთ, თუ რამე საქმეზე მიხვედით მასთან, მიუხედავად იმისა, რომ იგი ქართულ დაწესებულებაში მსახურობს.

კორესპონდენცია

ეს სოფელი ქუთაისიდან დაშორებულია 7-8 ვერსის მანძილზე მდებარეობა მთავრობის აქვს. მიწის ნიადაგი ვერ არის მაინც მაინც ნოყიერი და ქირახულის მოსავალი საშველოდ არასოდეს არ აღემატება აქ მეურნეობის უმთავრეს დარგს სიმინდის და ლობიოს თესვა შეადგენს მისდევნ მევნახეობასაც, მაგრამ აქ ური ღვინო მდარჯა.

ბოლო დროს გლეხობამ მეზამბეობასაც მიჰყვეს ხელი. თუ კარგი წელიწადი შეხვდა აქ ბამბა კარგ მოსავალს იძლევა და ღირსებითაც კარგია...

წელს კული ამინდების გამო სიმინდის მოსავალი თითქმის სულ არ იქნება. კარგი იქნება ისიც თუ 2-3 თვის საყოფი მოუვიდათ. ვენახები სულ წახდა. ბამბაც არ ეტყობა ხეირო.

კულტურულად და სწავლა განათლების მხრივ ეს სოფელი ჩამორჩენილია ოკრიბის შიდა სოფლებსაც კი. აღსანიშნავია ერთი გარემოება: საზოგადოთ იმ სოფლებს, რომელთაც ქ. ქუთაისის ვარს აკრავს და კავშირი აქთ ქალაქთან სძინავთ, ამ სოფლებში არავითარი კულტურული მუშაობა არ სწარმოებს და ქვეითდება, ვინემ პროგრესისაკენ მიდილობდეს.

რა არის ამის მიზეზი გამოურკვეველია, მაგრამ ის კი ცხადია ამ სოფლებიდან ორი ანბანი თუ წინმშისწავლა სოფელს სტოვებს და ქალაქებში ადგილებს ეტანებიან.

უმთავრესად, რასაკვირველია ეს არის იმის მიზეზი, რომ სოფლები უპატრონოთ დარჩენ და მისი კულტურული ცხოვრება ერთ წერტილზე გაიყინა.

21 სექტემბერს ნაგარევის მცხოვრებლებმა გადაიხადეს ღვთის მშობლის დღესასწაული. უნდა აღვნიშნოთ რომ დღესასწაულს არ ჰქონდა უწინდელი სახე. არ იყო ისეთი მხიარულება როგორც უწინ, მაგრამ მეორეს მხრით გაისმოდა თოფების სროლა, რაც მშვიდობიან მცხოვრებლებს შიშის ზარს სცემდა.

როგორც სჩანს სოფლად კიდევ ბევრია თოფები და ტყვია-წამალი, რაც რესპუბლიკის მთავრობას ორგვარ ზიანს აყენებს: 1) ის რომ სახედრო უწყებას ზარალს აყენებს და 2) მშვიდობიანობას და წესიერებას არღვევს.

საზოგადოთ მთავრობამ და აღმინისტრაციამ ზომები უნდა მიიღოს რომ სოფლად ტყვილა უბრალოთ არ იხარჯებოდეს მამასისხლად ღირებული ტყვია-წამალი. თოფები კი დაუყონებლივ ჩამორთმეულ უნდა იქნეს...

X.

რედაქტორი - სარედაქციო კოლეგია.

ქვალსა და რბილში გამჯდარი რუსული კულტურის გავლენა კიდევ დიდხანს დარჩება ჩვენს ცხოვრებაში, სანამ არ დაიწყება ნამდვილი ქართული რენესანსი, და სანამ ქართული კულტურა პრივილეგიებით არ აღიჭურვება ქართულ სახელმწიფოში.

ელემენტების სჭარბობა თბილისში შეუძლებლათ ხდის მის სრულ გავრცენებას დღევანდელ პირობებში, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ არ უნდა იყოს გადადგმული არავითარი ნაბიჯი. ამ შემთხვევაში ჩვენ მიზან შეწონილათ მიგვაჩინა თბილისის ქალაქის გამგეობის დადგენილება სავაქროებზე რუსული წარწერების ქართულით შეცვლის შესახებ, მხოლოდ ვერ გავიგია მთავრობის ოფიციალის უტაქტო გამოსვლა ასეთ საქრო ზომების წინააღმდეგ. ქართულ სახელმწიფოში უპირატესობა უნდა მიენიჭოს ქართულ ენას და გვიკვირს როგორ არ ესმით, ეს ანბანური ქემბარტება რუსულათ მოაზროვნე ქართველ სოციალ-დემოკრატებს.

მარკოზ სპანიოლი (შემდეგი იქნება)

მასწავლებელთა კავშირში (დასასრული იხ. „ჩვენ“ № 160)

იონა არსენიშვილი. ბატონებო, უნდა მოგახსენოთ, რომ არავითარ ღონეს არ ვიზოგავდით, რათა საქმე რიგიანად დამეყენებია მასწავლებელში და სრულიად მოულოდნელად ასეთი სასჯელი დავიმსახურე, უკვირდები ჩემს საქმეს და სწორედ ვერ გამიგია, რა დანაშაული მიმიძღვის.

მ. ხელიძე. ბატონებო, ბედმა თუ უბედობამ მეც იმგვარივე ხვედრი მარჯუნა. როგორც ამხანაგ იონა არსენიშვილს, მე სანამ სული მიდგას, თხოვნით არავის შევაწუხებ და არც შიმშილით მოვკვდები, მხოლოდ საქროა სიმართლის აღდგენა. შეიძლება მასწავლებელი რაიმეში შეცდა, ეს კარგად უნდა იცოდეს, როგორც პედაგოგიურმა საბჭომ, აგრეთვე კავშირმა; თორემ როგორ შეიძლება ასე უდანაშაულოდ დასჯა; მე მოვითხოვ მასწავლებელთა კავშირისაგან, რომ მან გამოარკვიოს ჩვენი მდგომარეობა.

იონა არსენიშვილი - ჩვენზე ხმები გავრცელდა, რომ გადაყავდით, დირექტორმა არ მოგვცა უფლება პედაგოგიურ საბჭოში დავგვესვა ეს საკითხი განსახილველად.

ასლანიშვილის ასული აცხადებს რომ არსენიშვილის სიტყვები სიმართლეს არ შეესაბამება.

საკითხი დიდ კამათს იწვევს.

ჯაჯუ ჯორჯიკია წინადადებას იძლევა საქმის გამოსარკვევად არჩეულ იქნეს კომისია.

გ. იმნაძე. წინადადება მიეცეს წმ. ნინოს სასწავ. პედ. საბჭოს, თანახმად ინსტრუქციისა, შეებრძოლოს ამ გვარ განკარგულებას.

იორონიმე არსენიშვილს უნჯობესად მიაჩნია კავშირმა გვერდი აუხვიოს წმ. ნინოს სასწავლებელს და პირდაპირ სამინისტროს მიმართოს.

კრებამ ხმის უმეტესობით მიიღო წინადადება დებეში გაეგზავნოს განათლების მინისტრს და მოეთხოვოს შემოხსენებული მასწავლებლების დატოვება თავიანთ ადგილებზე და სანამ ახალი განკარგულება იქნებოდეს ბოიკოტს ქვეშ გამოცხადდეს ამ მასწავლებლების ადგილები. დებეშის ტექსტის შესამუშავებლად არჩეულ იქნენ: თ. ჭუმბურიძე, დ. ჩხეიძე და ვესევი მიქელაძე.

მასწავლებელთა ნივთიერი მდგომარეობის შესახებ ვრცელ მოხსენებებს აკეთებს გამგეობის წევრი ვარლამ იმნაძე. ის აღნიშნავს საშუალო სასწავლებლის მასწავლებელთა უმწეო მდგომარეობას: მასწავლებელი, ამბობს ის, რომელიც მუდამ ლუკმა პურზე ფიქრობს და ნახევრად დაფლეთილი ტანისამოსით შედის კლასში, ყოვლად შეუძლებელია პირნათლად ასრულებდეს თავის მოვალეობას და თუ ამას დაუშვებთ, ეს იქნება ლალატი და მოტყუილება როგორც მოწაფეების, საზოგადოების, აგრეთვე თავისი თავისაც. სახელმწიფო უნდა შეეცადოს დააკმაყოფილოს მასწავლებლის ნომინალური მოთხოვნილება, თორემ ყოვლად შეუძლებელია მასწავლებლის ცხოვრება, სხვა არა იყოს რა დაფლეთილი ტანისამოსით კლასში შესვლა მასწავლებლის პრესტიჟს ცემს მოწაფეების თვალში და მასწავლებელი სასაცილო საგნად ხდება. ჩვენ უნდა მოვითხოვოთ, თუ მეტი არა, გაორკეცებული იქნეს გაკვეთილის სასყიდელი; თუ დღეს მასწავლებელი გაკვეთილში 700 მან. ღებულობს დამატებებით, საქროა გადიდებულ იქნეს ეს ქირა 1500 მანეთამდის; გადიდებული იქნეს აგრეთვე კლასის დამრიგებლობისა, ხუთ წლევლობის და სხვა გვარი გასამჯელოს ჯილდო.

იერონიმე არსენიშვილი. არ არის ისეთი სამსახური, ნივთიერად დაკვეითებული, როგორც მასწავლებლობა, რომელი დარგის მუშა გნებავთ აიღოთ, რომ ხუთჯერ და ათჯერ მეტს არ იღებდეს ვიდრე მასწავლებელი, საქროა შევიმუშავოთ ერთგვარი ნორმა ჯამაგირის მომატებისა, მაგრამ, ვიმეორებ კიდევ, ამას არავითარი მნიშვნელობა არ ექნება თუ ცხოვრებაში არ გვატარებთ და როგორ გნებავთ, რომ ეს ლიტონ სიტყვებით არ დარჩეს, რა ზომებს უნდა მიმართოთ, თუ ყურადღება არ მოგვაპყრეს.

იმნაძე. იმ დროს, როდესაც ქალაქის გამგეობის წევრები 3 დან 4 ათასამდე მანეთს ღებულობს, იმ დროს როდესაც ერობის გამგეობის წევრები, ექიმები და ბევრი სხვა

თანამდებობის პირი სწორედ ამდენივეს-და შეღავათიან ფასებში აწვდიან მათ ზოგიერთ პარველ მოსახონილებს საგნებს, რატომ მაინცა და მაინც მასწავლებლები უნდა ვიქნეთ გერები, ჩვენ უნდა შევიმუშაოთ ერთგვარი ნორმა მომატებისა და წარუდგინოთ მთავრობას და თუ განსაზღვრულ ვადაში არ დაგვაკმაყოფილეს, სხა რა დაგვრჩენია თუ არ გაფიცვა, ვალებით დატვირთულნი და მშვიერი მასწავლებლები ვერას გავაკეთებთ.

შალვა სანიკიძე. საქროდ მიაჩნია მომატებულ იქნეს სწავლის ქირა და დასავლეთ საქართველოს კავშირი შეუერთდეს ამ საკითხებში აღმოსავლეთ საქართველოს მასწავლებელთა კავშირს, რისთვისაც არჩეულ იქნეს გასაგზავნად ერთერთი ამხანაგი.

კრება ღებულობს რეზოლიუციას არჩეულ იქნეს კომისია, რომელიც შევიმუშავებს ჯამაგირების მომატების პროექტს და წარმოუდგენს განსახილველად კავშირის კრებას, რომელიც მოწვეულ უნდა იქნეს 25 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე ქუთ. წმ. ნინოს სასწავლებელში.

ხსენებული კომისიაში აირჩიეს: იორონიმე არსენიშვილი, ამხიანიძე და სანიკიძე.

დასასრულ თავმჯდომარე კითხულობს კომისიის მიერ შემუშავებულ დებეშას, რომელიც უნდა გაეგზავნოს განათლების მინისტრს, ხოლო ასლი ქუთ. წმ. ნინოს სასწავლებლის გამგეს: „დასავლეთ, საქართველოს საშველო მასწავლებლების მასწავლებელთა კრებამ, 21 სექტემბერს, იქონია მსჯელობა იმ ინსტრუქციის დარღვევის შესახებ, რომელიც სავალდებულოდ და აღსასრულებლად იყო წარსულ წელს განათლების სამინისტროს მიერ გამოგზავნილი და მიიღო რა მხედველობაში ის 1) რომ ქუთაისის ზოგიერთი გიმნაზიის გამგეებმა სრულიად დაარღვიეს მე 9 მუხლი აღნიშნული ინსტრუქციისა, 2) რომ სამინისტრომ იმავე წესდების წინააღმდეგ თვით დანიშნა ზოგიერთი მასწავლებელი და გადაიყვანა დასჯის სახით არსენიშვილი და ხელიძე, დაადგინა: მოეთხოვოს სამინისტროს სავსებით აღდგენილ იქნეს, მე-9 მუხლი ხსენებული ინსტრუქციისა, დატოვებულ იქნენ თავიანთ ადგილებზე არსენიშვილი და ხელიძე არ იქნენ მიღებულნი ადგილებზე სამინისტროს ან და მხოლოდ დირექტორის მიერ მოწვეული მასწავლებლები და ბოიკოტს ქვეშ გამოცხადდეს არსენიშვილისა და ხელიძის ადგილები.“

სხვა საკითხების განხილვა გადაიდო შემდეგი კრებისათვის; კრება დაიშალა ნაშუადღევს 3 საათზე.

მ. ჩეჩელაშვილი.